

დიდი იდენტობა

შესავალი

მას შემდეგ, რაც „სოლიდარობამ“ იდენტობის შესახებ სტატიის დაწერა დამატალა, რისთვისაც სრულიად გაუმართლებლად გამოიყენა ჩემი და რედაქტორის ნათესაური კავშირი, სირთულის წინაშე აღმოვჩნდი. არა იმიტომ, რომ კიდევ ერთ სტატიას ვერ დავწერდი იდენტობაზე და ნაციონალიზმზე. ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩემი აკადემიური ინტერესი პოლიტიკური და ეროვნული იდენტობის თეორიები იყო. ამ ინტერესის შედეგად რამოდენიმე სამეცნიერო სტატია და ესე და კიდევ - ორი სალექციო კურსი მივიღე. კიდევ ერთი სტატიის ანდა ესეს დაწერა, სადაც პოლიტიკური და ნაციონალური იდენტობის „კიდევ ერთ ასპექტს“ შევხებოდი, ნამდვილად არ მინდოდა. აკადემიური ეთოსი მოითხოვს, რომ სამი წლის მუშაობას და სტატიები/ესეების წერას ერთი წიგნი მაინც უნდა მოჰყვეს. ჩემი დროის ახლანდელი და უახლოეს მომავალში სავარაუდო განაწილებიდან გამომდინარე, ასეთ წიგნს კიდევ სამი-ოთხი წელი ვერ ან საერთოდაც აღარ დავწერ.

ამიტომ, გადავწყვიტე სრულიად არაკადემიური „გამჟღავნება“ ჩავიდინო. ანუ, მოვყვე იმ კითხვების შესახებ, რომელიც აქტუალურია როგორც პოლიტიკური და ეროვნული იდენტობის მკვლევარებისათვის, ასევე, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებების წარმოდგენლებისათვის, და ასევე, რაც მნიშვნელოვანია, ინტელექტუალისათვის, რომელსაც აინტერესებს, მაგალითად, ნაციონალიზმის შესახებ თეორიები, ანდა, უბრალოდ, საკუთარი ქვეყნის [იდენტობის] ისტორია. ეს ის კითხვებია რომლებზეც ყველა მკვლევარი, როდესაც პოლიტიკური და ეროვნული იდენტობის მაკონტრუირებელ ძალებზე და მოვლენებზე იწყებს წერას, ღიად თუ ფარულად, აპელირებს და ცდილობს საკუთარი პასუხი გასცეს. შესაბამისად, გადავწყვიტე, რომ რაკი კითხვების შესახებ ვყვები, მოვყვები იმ პასუხების შესახებაც, რომლებიც ამ ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში ჩამომიყალიბდა.

ასე რომ, თქვენს წინაშე მყოფი ტექსტი არარსებული წიგნის ერთ-ერთ თავად შეგიძლია ჩათვალოთ, თავად, რომელსაც ეწოდება „ყველა [ან თითქმის ყველა] წარმოდგენების მართებულობის შესახებ“. რატომ ასეთი სათაური, შევეცდები ტექსტის განმავლობაში განვმარტო. ჩემთვის ამ კითხვებზე ღია და ჩამოყალიბებულ პასუხს ისტორიულ-სენტემენტალური მნიშვნელობაც აქვს. ამ კითხვების უმეტესობა ჩვენს ინტელექტუალურ საზოგადოებაში იმ დროს დაისვა, როდესაც სამმა ავტორმა - ზალიკო ქიქიძემ, გია ნოდამ და თქვენმა მონა-მორჩილმა დაიწყეს ნაციონალიზმზე წერა, ლაპარაკი

და კამათი. იმდენად, რამდენადაც ჩვენი სამივეს წყარო სხადასხვა იყო, მაინდამაინც დიდი აზრი არ აქვს დავაფიქსირო, პირველმა ვინ-სად-რა-როდის-დაწერა: ზალიკო ქიქოძემ ნაციონალიზმის შესახებ მეცნიერული თეორიებით გატაცების ბიძგი ჰობსბაუმის (Hobsbawm) წიგნებიდან მიიღო, ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ როგორც იმდროინდელ საქართველოში პოლიტიკურ მეცნიერებაში ყველაზე უფრო ჩართული მკვლევარს, გიას იდეების ამოსავალი გელნერის (Gellner) თეორია უნდა ყოფილიყო. მე კი, როგორც ამ სამეულში ყველაზე უფრო კონსერვატორმა, ნაციონალიზმის თეორიებით დაინტერესებამდე ჰაიდეგერის (Heidegger) ფილოსოფიის შესწავლით მივედი.

საბოლოო ჯამში, როგორც აკადემიურ, ასევე, აკადემიურთან მიახლოებულ წრეებში ნაციონალიზმზე და იდენტობაზე „მტკივნეული“ შეკითხვები რამდენიმე კითხვაზე დაიყვანება. სანამ ამ კითხვებს ჩამოვთლიდე, უპრიანი იქნება აღვნიშნო, რომ ყველა ეს კითხვა ნაციონალიზმის კლასიკური თეორიების გამო დაისვა და საბოლოო ჯამში, ჩვენც ამ კლასიკურ თეორიებზე დაყრდნობით ვცდილობდით ამ კითხვებზე პასუხის გაცემას. ამ კითხვებს საფუძველი კი ისაა, რომ ნაციონალიზმის სამივე კლასიკური თეორია (Gellner, Smith, Anderson - ავტორები), ამტკიცებს, რომ (1) თანამედროვე ერის ცნება და საზოგადოებრივი ცნობიერება იქმნება ახალ დროში, რომ (2) მანამდე ერის ცნება და ცნობიერება არ არსებობდა, და (3) თუ რამე მსგავსი არსებობდა, ის არ იყო ერის ცნება და ცნობიერება. საერთოდაც, (4) ეროვნული ცნობიერების გაჩენა მთელ მსოფლიოში სადღაც მე-19 საუკუნიდან უნდა ვივარაუდოთ.

ბუნებრივია, საქართველოში, და არა მარტო, ამ დებულებებმა სრულიად ლეგიტიმური შეკითხვები გამოიწვია. ეს შეკითხვები დაახლოებით ასეთი იყო: აბა „ქართლის ცხოვრება“? აბა ქართველების თავდადება ერისთვის და სარწმუნოებისათვის? აბა ებრაელები? რა, ებრაელი ერი არ იყო ერი ახალ დრომდე? როდესაც ვცდილობდით ამ კითხვაზე პასუხი შუა საუკუნეებში რელიგიური განწყობების დომინანტურობაზე დაყრდნობით გაგვეცა, ანუ, გვეთქვა, რომ ის, შუა საუკუნეებში ეროვნული ცნობიერება გვგონია, ის, [საქართველოს შემთხვევაში] რელიგიური ცნობიერებაა, რომელსაც ისტორიულად განსაკუთრებული ნიშნები ქონდა (ქართულ ენაზე საეკლესიო მსახურებას ვგულისხმობ) და ჩვენთვის წააგავს ეროვნულ ცნობიერებას, ანდა რომ ის „უბრალოდ“ ეთნიკური იდენტობის ჩანასახია, ანდა ის, რომ ებრაული ერთიანობა ეყრდნობოდა რელიგიურ იდეას და არა ეროვნულს, ძალიან დამაჯერებლები არ ვიყავით. ამის შემდეგი კითხვა კი ორივეს, მკითხველსაც და მოპასუხესაც „თავის აზრზე“ ტოვებდა. ეს კითხვა დაახლოებით ასე ჟღერს: დღესაც ხომ გვხვდება ეროვნული ცნობიერება, რომელშიც არ არის ცხადი საზღვარი რელიგიურ და ეროვნულს შორის და თუ ესეა, სად გადის ზღვარი შუა

საუკუნეების და თანამედროვე ქართველების საკუთარი იდენტობის შესახებ წარმოდგენებს შორის? ამის შემდეგ უკვე ერის განსაზღვრების მარქსისტულ-სტალინური აჩრდილი წამოყოფდა თავს და კამათი/დიალოგი შეუძლებელი ხდებოდა.

კვლავ თეორიების და პოლიტიკური შეხედულებების საბრძოლო ველად რომ არ გადამექცეს ეს გვერდები, ჯობია, ყოველგვარი ისტორიულ-თეორიული საფუძვლების და დისკუსიების გარეშე, მოვყვე პოლიტიკური და ნაციონალური იდენტობების ისტორია. ვფიქრობ, ამ ტექსტის ბოლოსათვის მეტ-ნაკლებად ცხადი გახდება ჩემი პოზიცია და ისიც, თუ როგორ ვპასუხობ კითხვებს ნაციონალიზმის და ზოგადად, დიდი იდენტობის წარმოშობის, წარსულის და მომავლის შესახებ.

დიდი იდენტობის განსაზღვრება

დიდი იდენტობა არის გარემომცველ სამყაროზე იდეების და წარმოდგენების სისტემა, რომლებსაც ადამიანების დიდი ჯგუფი, რომლის წევრების უმეტესობა ერთმანეთს არ იცნობს და სავარაუდოა, რომ ისინი არასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს, იზიარებს და აღიქვამს საკუთარი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მოქმედებების უპირობო განმსაზღვრელად. როგორც წესი, ეს წარმოდგენები ქმნიან წარმოსახვით საზღვრებს, რომლის იქით მოხვედრილი ადამიანი აღიქმება, როგორც უცხო. ეს წარმოსახვითი საზღვარი შეიძლება ემთხვეოდეს გეოგრაფიულს ან პოლიტიკურს, შეიძლება არა. მაგალითად, ნაციონალიზმი დიდი იდენტობის კლასიკური შემთხვევაა. მაგრამ არა მარტო.

დიდი იდენტობის არსებობის პირობები

სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ დიდი იდენტობა, როგორც სოციალური და პოლიტიკური ფენომენი წარმოიშვა მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა ხანგძლივი დროის განმავლობაში ადამიანების დიდ ჯგუფებში კონკრეტული იდეების და წარმოდგენების კომპლექსის უცვლელი და უდანაკარგო გავრცელება/დანერგვა. ანუ, მას შემდეგ, რაც წარმოიშვა უნიფიცირებული, ერთიანი განათლების სისტემა და მას მედია. მხოლოდ მას მედიის და განათლების სისტემის საშუალებითაა შესაძლებელი იდეების და წარმოდგენების სისტემა ყოველი მოქალაქისათვის საერთო, ძვირფასი და შეუცვლელი გახადო. როგორ? თუკი მოახდენ ამ იდეების ტრანსლირებას სასკოლო სისტემით (ანუ, დაიწყებ ამ იდეების ჩანერგვას ადამიანების თავებში სკოლაში შესვლის მომენტიდან ანდა უფრო ადრეც) და შემდეგ - გაამყარებ გაზეთებით, რადიოთი და ტელევიზიით. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ აქვს რა კონკრეტული შინაარსის ტრანსლირება ხდება მას მედიის საშუალებით. მნიშვნელობა აქვს, თუ რა არის ამ შინაარსის კონტექსტი.

მაგალითად, საქართველოში ქართველობის და ქართული სახელმწიფოს იდეის ტრანსლირება და იდენტობის გამყარება ხდება მას მედიის საშუალებით, იმის ერთი შეხედვით მარტივი ფაქტის გამო, რომ მას მედია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ჰყვება საქართველოს შესახებ.

შესაძლებელი კითხვა

აღბათ, მკითხველი ფიქრობს, რომ მე ზედა ორ ქვეთავში ეროვნული იდეის და ცნობიერების შესახებ ვლაპარაკობ და მხოლოდ ზედმეტი მეცნიერულობის „იმიჯის“ შესაქმნელად არ ვარქმევ ამ მოვლენას „საკუთარ სახელს“, ანუ, ნაციონალიზმს. სულაც არა. განათლების უნიფიცირებული სისტემის და მას მედიის საშუალებით ნებისმიერი იდეების სისტემის გავრცელებაა შესაძლებელი და არა მხოლოდ ისეთის, რომლებიც ეროვნულ სულის, ისტორიის და სახელწმიფოს შესახებ გველაპარაკებიან. ამის დასტურად საკმარისია ისლამის, როგორც დიდი იდენტობის, მაგალითი მოვიყვანოთ: მეოცე საუკუნეში ისლამი უნიფიცირებული განათლების სისტემის და მას მედიის საშუალებით გახდა დიდი იდენტობა, ოღონდ, განსხვავებით ჩვენი, „ევროპული“ დიდი იდენტობისაგან - ნაციონალიზმიდან, ამ, აღმოსავლურ დიდ იდენტობაში ძირითადი და მთავარი შინაარსი - რელიგიაა: დღეს ისლამი აღმოსავლეთის ქვეყნებში მუშაობს კიდევ, როგორც ამ ქვეყნების ხალხების მთავარი გამაერთიანებელი. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყნებში არსებობს ნაციონალური, ქვეყნის მასშტაბის იდენტობის შექმნის მცდელობები, მაგრამ ჯერ-ჯერობით ისინი მთლიანად დიდ რელიგიურ იდენტობას ჰყავს მოცული და დამორჩილებული.

დასკვნა დიდი იდენტობის შესახებ

შესაბამისად, თუკი რამეს ახალ დროში წარმოშობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, ეს დიდი იდენტობაა, ანუ, შესაძლებლობა, იდეების ერთი სისტემა მთელი ქვეყნის მოსახლეობისათვის გახდეს შინაგანი, აუცილებელი და პოლიტიკური და სოციალური ქმედებების უპირობო განმსაზღვრელი. დიდ იდენტობას მთავრობები, ან - დიდი გავლენის მქონე ადამიანთა ჯგუფები ქმნიან და ავრცელებენ. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მთავრობაში, ან დიდი გავლენის მქონე ჯგუფებში განსაკუთრებულად ჭკვიანი ადამიანები შედიან, არამედ იმიტომ, რომ დიდი იდენტობის შესაქმნელად აუცილებელი ორივე სისტემა - განათლების და მას მედიის ინსტიტუციონალური ფორმები - მათ ხელშია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში დიდი იდენტობის შექმნა შემქმნელების მიერ გაუცნობიერებლად მიმდინარეობს. რატომ - ამის შესახებ პასუხს ქვემოთ იპოვით.

პოლიტიკური და ნაციონალური იდენტობები დიდი იდენტობის წარმოშობამდე

იდევს უცნაური თვისება და ისტორია აქვთ. თითქმის არ არსებობს იდეა, ან იდეათა სისტემა, რომლის შესახებაც დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ: „აი, დროის მომენტი, რომლის შემდეგაც ის იწყებს არსებობას“. ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ იმ იდეათა და წარმოდგენათა სისტემები, რომლებიც დღეს ნაციონალურ და რელიგიურ დიდი იდენტობების შინაარსს წარმოადგენს, არსებობდა შუა საუკუნეებში. არსებობდა ქართული სახელმწიფოს იდეაც, ისლამის, ქრისტიანობის, როგორც ერთიანი და უწვერსალური რელიგიის იდეაც და ა.შ. მათი შექმნა დაკავშირებული იყო ორ ფაქტორთან: სახელმწიფოს პოლიტიკასთან და მმართველი ელიტების ამბიციებთან: სახელმწიფოს წარმოშობის, ან ექსპანსიის, ან შიდა წესრიგის განმტკიცების მიზნით ელიტა შეიმუშავებდა ამბავს - რომლის მიხედვითაც ეს კონკრეტული ელიტა - სამეფო გვარი, თავადების ერთობა, ა.შ. - იყო ამ კონკრეტული სახელმწიფოს „ბუნებრივი“ მფლობელი და ამ სახელმწიფოში მცხოვრები ხალხის „ბუნებრივი პატრონი“. ჩვენთვის, ქართველებისთვის, კარგად ნაცნობი დებულება - „იქ სადაც წირვა ქართულად ტარდება, საქართველოა“ - ტერიტორიების შემოერთების იდეური გამართლების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია.

მაგრამ, განსხვავებით ახალი დროიდან, მას მედიის და განათლების უნიფიცირებული საყოველთაო სისტემების არარსებობის ფონზე, ეს ამბავი არ და ვერ მიდიოდა ქვეყნის ყოველ მაცხოვრებლამდე და მხოლოდ ელიტების საკუთრებად რჩებოდა. მართალია, ზოგიერთ ქვეყანაში არსებობდა ეკლესიების სისტემა, რომლებიც ამ ამბავის გადამცემები იყვნენ, მაგრამ არა როგორც განათლების სისტემის შინაარსის, არამედ, როგორც ხელისუფლების გზავნილის.

რაც შეეხება ელიტის შიგნით არსებულ განათლების/აღზრდის სისტემას: მოხდებოდა თუ არა ამ ამბავის ძლიერი ინკლუზია ბავშვების აღზრდის სისტემაში - ძალიან შემთხვევითი იყო და კონკრეტულ „კარის“ გარემოზე იყო დამოკიდებული. შედეგად, ელიტის ახალგაზრდებში ან მუშავდებოდა იდენტობა პოლიტიკურ და ეროვნულ იდეასთან, რომლებიც მათი წინაპრების მიერ იყო შექმნილი, ან არა და უბრალო სოლიდარობის - ანუ, ფაქტობრივი ვითარების აღიარების და ლოიალობის გამოხატვის - დონეზე რჩებოდა. ასეთი სოლიდარობა კი ადვილად ირღვეოდა და მის ადგილს სხვა ჯგუფთან/სხვა ამბავთან სოლიდარობა იკავებდა. სოლიდარობის ამ დარღვევას ისტორიკოსები და ჟამთააღმწერლები სამშობლოს დაღატაკს უწოდებენ.

ჰქონდა თუ არა უბრალო ხალხს შუა საუკუნეებში დიდი იდენტობა

სავარაუდოა, რომ არა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათ უმეტესობას, განსაკუთრებით სოფლის მაცხოვრებლებს, უბრალოდ საშუალება აქ ჰქონდათ მიეღოთ სისტემური განათლება, რომელიც მათ მათი საკუთარი იდენტობის ამბავს გადასცემდა. ამის დროც არ ჰქონდათ - გამომდინარე იმდორინდელი პირობებიდან - მთელი მათი დრო თვითგადარჩენაზე უნდა ყოფილიყო მიმართული. როგორც უკვე ვთქვი, იქ, სადაც ეკლესიის და სახელმწიფოს ქსელი ძლიერი იყო, უბრალო ხალხმა იცოდა ვის და რას ეკუთვნოდა. ბუნებრივია, ეს იმპერატიული ფორმით მიღებული ცოდნა მათ იდენტობას ვერ გამოუმუშავებდა. სავარაუდოა, რომ გლეხების იდენტობა გარკვეული საერთო კულტურული ჩვევების (ყოფითი რიტუალები, საერთო ზღაპრები და მითოლოგია) ფლობის იქით არ მიდიოდა.

რაც შეეხება ქალაქების მაცხოვრებლებს - კარგად სტრუქტურირებულ ქალაქებში ძლიერი უნდა ყოფილიყო ქალაქელობის განცდა - ოსტატთა იმ გაერთიანებების გამო, რომლების არსებობის ქვაკუთხედს ქალაქების დამოუკიდებლობა და ტრადიციული ხელობა წარმოადგენდა - რაც ტრანსლირდებოდა კიდევ გილდიის განათლების სისტემების საშუალებით.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, შუა საუკუნეებშიც შეგვიძლია ვილაპარაკოთ დიდი იდენტობის შესახებ - იქ, სადაც უნიფიცირებული და საყოველთაო განათლების სისტემა არსებობდა. მაგრამ შუა საუკუნეებში ასეთი ქვეყნები/საზოგადოებები გამონაკლისს წარმოადგენდნენ. სავარაუდოა, რომ ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისია ჩინეთი: სახელმწიფო მოხელის 1300 წლიანი ისტორიის მქონე გამოცდებს უნდა გამოემუშავებინა საშუალო და საშუალოზე დაბალ ფენებში დიდი იდენტობა. ასევე, თითქმის დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ებრაელთა საზოგადოებაც იყო დიდი იდენტობის მატარებელი - სწორედ უნიფიცირებული და [თითქმის] საყოველთაო განათლების შინაარსის გამო.

დასკვნა შუა საუკუნეებში ეროვნული და პოლიტიკური იდენტობების შესახებ

ეროვნული და პოლიტიკური იდენტობა შუა საუკუნეებში (ახალ დრომდე), ზოგიერთი გამონაკლისი გარდა, არსებობდა მხოლოდ როგორც იდეოლოგია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, იდეოლოგიას ვუწოდებ იდეათა სისტემას, რომელიც მცირე ჯგუფის მიმართ მართებულ დებულებებს ავრცელებს ქვეყნის მთელ პოპულაციაზე (მოსახლეობაზე) და ამტკიცებს, რომ მხოლოდ ასე არის შესაძლებელი ამ ქვეყნის და ამ ხალხის არსებობა. მაგალითად, თეორია, რომლის მიხედვითაც X ქვეყნის ხალხი კონკრეტული, არა-

შემთხვევითი მიზეზების გამო არსებობს კონკრეტულ ტერიტორიაზე და არის კონკრეტული ცნობიერების (მაგ. ქართველობის) მატარებელი, რის გამოც მას აქვს კონკრეტული Y უფლებები, და ელიტა, როგორც მათი წარმომადგენელი ღმერთის წინაშე, ამ უფლებების დამცველია, იდეოლოგიაა. იდეოლოგიაა, რადგანაც მისი ექსკლუზიური მატარებელი ელიტაა, ხოლო ელიტის მიერ ხდება ამ თეორიის გავრცელება/მიყენება მთელი ქვეყნის მოსახლეობაზე. ანუ, თუკი ქვეყანაში არსებულ საზოგადოებას სამკუთხედის ფორმით წარმოვიდგენთ, მაშინ იდეოლოგია არის ის, რაც ახასიათებს სამკუთხედის წვეროს, ხოლო ძალაუფლება ავრცელებს/მიაწერს ამ თვისებას მთელ სამკუთხედს. იდეოლოგიის იდენტობად ქცევა ხდება მას შემდეგ, რაც ეს თეორია „ეროვნული კატეხიზმო“ ხდება და ყველა ბავშვმა, რომელიც სკოლაში დადის, იცის მის შესახებ და საკუთარ ბიოგრაფიას ამ ამბიდან გამომდინარედ აღიქვამს.

იმის მტკიცება, რომ ეროვნული ან რელიგიური ცნობიერება, იდეა, იდეოლოგია რომელსაც შუა საუკუნეების ტექსტურ დოკუმენტებში ვხვდებით, სტრუქტურულად განსხვავდება იმ იდეათა სისტემებისაგან, რომელიც ახალი დროის მერე შეიქმნა და საფუძვლად დაედო ეროვნულ და რელიგიურ დიდ იდენტობებს, მოკლებულია დამაჯერებლობას. მაგალითად, ჩვენი, ქართველების ეროვნული იდეა, ცნობიერება - არსებობდა იმ დროიდან, რა დროიდანაც არსებობს ქართული სახელმწიფო და ამ სახელმწიფოს ელიტის პოლიტიკური განაცხადი. მაგრამ ეროვნული იდეა, როგორც დიდი იდენტობა, საქართველოში შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას მედიის და განათლების ფორმალიზებული სისტემების წარმოშობის შემდეგ.

როგორ გადაიქცევა ხოლმე იდეოლოგია დიდ იდენტობად

მთელ რიგ შემთხვევებში, კაპიტალიზმის დადგომის და დიდი იდენტობის შექმნის შესაძლებლობების გაჩენის დროს, ქვეყნის მმართველობა იგივეობრივია, ან იმ ელიტის მემკვიდრეა, ვინც სახელმწიფოს იდეოლოგია შექმნა. ასეთ შემთხვევებში, იგივე იდეოლოგია გარდაიქმნება ხოლმე დიდ იდენტობად (მაგ. დიდი ბრიტანეთი). თუმცა, არანაკლები მაგალითებია, როგორ ანაცვლებს არისტოკრატიულ იდეოლოგიას რევოლუციის შედეგად მიღებული იდეოლოგია, რომელიც მალევე გარდაიქმნება დიდ იდენტობად (მაგ. საფრანგეთი). ასევე, არანაკლებია შემთხვევა, როდესაც იდეოლოგიაც და დიდი იდენტობაც ცარიელ ნიადაგზე იქმნება - ამ პროცესს პუბლიცისტურად „ეროვნული თვითშეგნების გაღვივება“ ჰქვია (მაგ. აფრიკის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთი ქვეყანა).

დიდი იდენტობის მომავალი

იმდენად, რამდენადაც დიდი იდენტობის შემოღების შესაძლებლობები იზრდება, მომავალში კიდევ უფრო ცხადი გახდება, რომ დიდი იდენტობა მხოლოდ ნაციონალური არ არის. ალბათ კიდევ უფრო ცხადად გამოიკვეთება რეგიონული დიდი იდენტობების კონტურები. მაგრამ ეს მომავალი დიდი რეგიონული იდენტობა შეიძლება სულაც არ იყოს სტაბილურობის და მშვიდობის გარანტი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ უკვე გვაქვს დიდი რეგიონული იდენტობის მაგალითი ისლამის სახით და ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ მას სიმშვიდე და სტაბილურობა მოაქვს. ხოლო, ჩვენს გარშემო მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებამ სრულიად არასახარბიელო პროგნოზი შეიძლება გაგვაკეთებინოს: ჩვენს ახლო და არც თუ ისე ახლო გეოპოლიტიკურ სივრცეებში მართლმადიდებლობა ერთადერთი კონსტრუქტია, რომელიც რეგიონულ იდეოლოგიას და შესაბამისად, რეგიონულ დიდ იდენტობად ქცევის შესაძლებლობას შეიცავს. მართლმადიდებლური რეგიონული დიდი იდენტობა კი სერიოზულ პოლიტიკურ და გეო-პოლიტიკურ ცვლილებებს გამოიწვევს.

ერთი მეცნიერული შეცდომის მაგალითი სოციალური მეცნიერების ბუნების გამყდარების მიზნით მოხმობილი

მე-19 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ მოაზროვნე, ემილ დურკჰაიმი ფიქრობდა, რომ საზოგადოებაში ადამიანთა შორის სოლიდარობა (დურკჰაიმი სოლიდარობას იმ მნიშვნელობით იყენებდა, რა მნიშვნელობითაც ჩვენ დღეს იდენტობას ვანიჭებთ) ევოლუციას განიცდის შინაარსობრივზე (განათლება, რელიგია, ღირებულებები, წეს-ჩვეულებები) დაყრდნობილიდან სისტემურზე (საწარმოო სისტემების და წარმოების სხვადასხვა წესების გარდაუვალი კავშირი ერთმანეთთან) დაყრდნობილისაკენ.

ამიტომ, დურკჰაიმი წერდა, რომ (ა) იმ საზოგადოებაში, სადაც საწარმოო ძალები და სისტემები განვითარებულეები და ამიტომ მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან, მაინდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა ღირებულებების მატარებელია ადამიანი, იმიტომ, რომ (ბ) ასეთი საზოგადოების წევრებს ისე აქვთ განცობიერებული ურთიერთკავშირის სასიცოცხლო აუცილებლობა, რომ სხვადასხვა აღმსარებლობების, წარმოშობის და ყველა სხვა ბიოსოციალური ფაქტორის მიუხედავად, იქმნება ორგანული სოლიდარობა, რაც თანამედროვე, სეკულარულ და [მთლიანობაში უფრო] სამართლიან საზოგადოებას წარმოშობს.

მე-20 საუკუნეში მკვლევარებმა [და არა მარტო] დაადგინეს, რომ საწარმოო სისტემების მჭიდრო და სასიცოცხლოდ აუცილებელი ურთიერთკავშირი არც ტოლერანტობას უწყობს ხელს და არც სტაბილურობას. თუკი ოდესმე დაიწერება წიგნი სათაურით „აზროვნების შეცდომები, დაშვებული ადამიანთა საზოგადოებისადმი კეთილგანწყობის გამო“ მასში დურკჰაიმის წიგნი „სამუშაოს განაწილება საზოგადოებაში“ (1893) კუთვნილ საპატიო ადგილს დაიკავებს - მაქს ვებერის სეკულარიზაციის თეორიის გვერდით (ეს უკანასკნელი ფიქრობდა, რომ რაციონალიზმის შეღწევა ადამიანური არსებობის ყველა სფეროში საბოლოოდ საზოგადოების სეკულარიზაციას გამოიწვევს). ორივე თეორია შექნილია მომავლის უკეთესი ადამიანის [ევოლუციის] რწმენით. თუმცა, ვფიქრობ, ამ ორივე შემთხვევაში, სოციოლოგების ფუტუროლოგიური შეცდომა დარვინით და ევოლუციის იდეით გატაცების შედეგია. რატომ - ამის შესახებ ცალკე წიგნი შეიძლება დაიწეროს, სადაც დასაბუთდება, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებიდან აღებული იდეების სოციალურ მეცნიერებებში ტრანსლირების არაპროდუქტიულობის/შეცდომის მიზეზი ისაა, რომ ეს იდეები თავის დროზე სოციალური აზროვნებიდან, ანდა, პირდაპირ ადამიანთა საზოგადოებაზე ცნობიერი თუ გაუცნობიერებელი დაკვირვების შედეგადაა მიღებული.

მაგრამ ამ შემთხვევაში დურკჰაიმის და ვებერის მოხმობა, ზემოთ მოყოლილი დიდი იდენტობის თეორიის შემდეგ, იმიტომ დამჭირდა, რომ სტანდარტული გაფრთხილება შევიმუშაო სოციალური მეცნიერების წარმომადგენელთა მიმართ, რომლებიც ცდილობენ საკუთარი რწმენა მეცნიერულ პროგნოზად გადააქციონ. სოციალური მეცნიერების უკვე არსებული გამოცდილებიდან თავისუფლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთადერთი, რაც მართლა იცვლება და ევოლუციას განიცდის ჩვენს სამყაროში, ტექნოლოგიებია (ამ სიტყვის ყველაზე უფრო ფართო გაგებით). სოციალურ სისტემებსაც ახალი ტექნოლოგიების საშუალებით ძველი და კარგად ნაცნობი იდეების დანერგვა ცვლის. შედეგად ვიღებთ იმ სამყაროს, რომელშიც ვცხოვრობთ.